ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2231064

ნომერი: AR1342329

თარიღი : 16.09.2015

გაცემის თარიღი : 07.10.2015

გაცნობის თარიღი : 09.10.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა არტურ ლაისტი , N 5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა მირზიაშვილი პ/ნ 01024025897
- თბილისი პლ.იოსელიანის ქ. N 37 ბ. 49

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 18/15/2010წ. N6/1085 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

16/09/2015წ. AR1342329 ერთობლიცი განცხადებით მომართეს მამუკა მირზიაშვილმა და შპს „ევრონიშნული“–ს დირექტორმა, მერაბ ბაღათურიამ, რომლებმაც მოითხოვეს სამსახურის 18/15/2010წ. N6/1085 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ, მშენებლობის ნებართვაში დამკვეთად, შპს „ორთაჭალის ტურფა“–სთან ერთად, შპს „ევრონიშნული“–ს დაფიქსირება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სიიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 18/15/2010წ. N6/1085 ბრძანებით, ქ. თბილისში, მეგობრობის პარკის დასაწყისში, შპს „ორთაჭალის ტურფა“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის N003/137) გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის ვადა განისაზღვრა 2010 წლის 19 მაისიდან 2011 წლის 19 იანვრის ჩათვლით. აქტში დამკვეთად დაფიქსირდა შპს „ორთაჭალის ტურფა“. მოგვიანებით, სამსახურის ბრძანებებით, რამდენიმეჯერ მოხდა მშენებლობის ვადის გაგრძელება და საბოლოოდ, 06.05.2014წ. №1249609 ბრძანებით, მშენებლობის დასრულების თარიღად განისაზღვრა 2017 წლის 6 მაისი. 16/09/2015წ. AR1342329 განცხადებას თან ერთვის შპს „ორთაჭალის ტურფა“–ს დირექტორის, თორნიკე აბულაძის, თანხმობა განსახორციელებელ ცვლილებასთან დაკავშირებით.
„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე–20 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მშენებლობის ნებართვის მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 26–ე მე–4 პრიმა მუხლის მე–7 პუნქტის თანახმად, "მშენებარე ობიექტზე საკუთრების უფლების (უფლებების) რეგისტრაციის შემთხვევაში, დამკვეთი (პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი) არის მიწის ნაკვეთის თავდაპირველი მესაკუთრე/მოსარგებლე (პირი, რომელზედაც გაიცა მშენებლობის ნებართვა) ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე და 63–ე მუხლებისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57 დადგენილებისა და "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 26–ე თანახმად,
ვბრძანებ: